სოციალური სამუშაოს ბაკალავრიატის პროგრამა

<u>აკადემიური ხარისხი</u>
სოციალური სამუშაოს ბაკალავრი **(BA in Social Work).**

<u>პროგრამის მიზანი:</u>
საუნივერსიტეტო განათლების მისიის შესაბამისად, სოციალური სამუშაოს საბაკალავრო პროგრამის მისიაა მოამზადოს მაღალი პროფესიული დონის მქონე სოციალური მუშაკები, რომლებიც გამოიყენებენ უნივერსიტეტის საბაზისო და სოციალური სამუშაოს კურსებზე მიღებულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს საქართველოს მოქალაქეების, მათი ოჯახების და ჯგუფების სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

პროგრამის მისია ეფუძნება შემდეგი მიზნების განხორციელებას:

- სტუდენტთათვის სოციალური სამუშაოს თეორიული საფუძვლების გაცნობა;
- სოციალური სამუშაოს კომპეტენციის სტანდარტების განვითარება და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მაღალპროფესიულ დონეზე მომზადება;
- პროფესიული და აკადემიური სტანდარტების პრაქტიკაში ინტეგრირება და სოციალურ მუშაკთა უწყვეტი განათლების უზრულველყოფა;
- მაღალი კვალიფიკაციის სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პროფესიის პოპულარიზებას.

<u>პროგრამის შედეგები:</u>
სოციალური მუშაობის ბაკალავრის პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებულ სპეციალისტებს შეეძლებათ:

- სოციალური სამუშაოს საფუძვლების დაუფლება; მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება სოციალური მუშაკის ყოველდღიურ პრაქტიკაში.
- სოციალური სამუშაოს ღირებულებებისა და პრაქტიკულ საქმიანობაზე მათი გავლენის გააზრება; სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსის შესაამისი პრაქტიკის განხორციელება.
- სოციალურად დაუცველი ჯგუფების და სოციალური სამსახურების მომხმარებელთა გაძლიერება საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციისა და ჩაგვრის დასაძლევად.
- ადამიანებისა და ჯგუფების ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების, ადამიანთაშორისი ურთიერთობების დინამიკის იდენტიფიცირება და პრაქტიკაში გამოყენება.
- სოციალური სამუშაოსთვის რელევანტური საკანონმდებლო ბაზისა და პროგრამების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება.
- სოციალური სამუშაოს მეთოდების ღრმა ცოდნა და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება.
- საკუთარი პრაქტიკის და მისი ეფექტურობის შეფასება და სოციალურ სფეროში არსებული კვლევის შედეგების პრაქტიკაში ინტეგრირება.

<u>დასაქმების სფეროები:</u>
სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შემდეგ სოციალური პრობლემებზე მუშაობის საჭირო თეორული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- ბავშვების, ქალებისა და ოჯახების კეთილდღეობა;
- ხანდაზმულობა;
- ადამიანის უფლებების დარღვევა;
- არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;
- ტრეფიკინგი;
- ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდულობა;
- უსახლკარობა; ეკონომიკური არასტაბილურობა;
- უმუშევრობა; ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი;
- პროსტიტუცია

შესაბამისად, ბაკალავრების დასაქმების პერსპექტივები უკავშირდება ზემოაღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

<u>სწავლის გაგრძელების საშუალება:</u>
სოციალური სამუშაოს ბაკალავრის ხარისხი შეესაბამება პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისთვის ადეკვატური განათლების დონეს. სოციალურ სამუშაოში სწავლის გაგრძელების მსურველებს შეეძლებათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობა.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

(ECTS 160 კრედიტი)

	საგნის/მოდულის დასახელება	**საგნის/მოდულის სტატუსი**	**კრედიტების საერთო რაოდენობა**	**კრედიტების განაწილება**	
				სემესტრები	
				საშემოდგომო	**საგაზაფხულო**
	საფაკულტეტო კურიკულუმი (სულ 40 კრედიტი)				
1.	**ინგლისური ენა**	**სავალდებულო**	**15**		
2.	**აკადემიური წერა**	**სავალდებულო**	**5**		
	შესავალი კურსები სოციალურ მეცნიერებებში *(შენიშვნა:* • სტუდენტი ვალდებულია აირჩიოს 4 შესავალი კურსი. თუმცა, მას არ ეკრძალება უფრო მეტი შესავალ კურსების აღება; • შესავალი კურსი ერთსემესტრიანია, მაგრამ მიეწოდება ორივე სემესტრში	**სავალდებულო-არჩევითი**	**20**		
1.	პოლიტიკური მეცნიერების შესავალი		5		
2.	ჟურნალისტიკის შესავალი		5		
3.	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი		5		
4.	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი		5		
5.	სოციოლოგიის შესავალი		5		
6.	სოციალური სამუშაოს შესავალი		5		
7.	ფსიქოლოგიის შესავალი		5		

	სპეციალობის კურიკულუმი (სულ 110 კრედიტი, აქედან პრაქტიკაზე (Practice Placement) გათვალისწინებულია 35 კრედიტი, ხოლო სალექციო კურსებზე 75)				
	I მოდული: სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკა:	**სავალდებულო**	**20**		

1.	სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ცოდნა, ღირებულებები, უნარები		5		
2.	ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა		5		
3.	ჯგუფებთან მუშაობა		5		
4.	ორგანიზაციებთან და თემთან მუშაობა		5		
	II მოდული: ადამიანის ქცევა და სოციალური გარემო	**სავალდებულო**	**15**		
1.	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში		10		
2.	კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური სამუშაო		5		
	III მოდული: სოციალური სამუშაოს კონცენტრაციები:	**სავალდებულო-არჩევითი**	**15**		
1.	ბავშვები, მოზარდები და ოჯახები		5		
2.	თანამედროვე სოციალური პრობლემები I *(სიღარიბე, უსახლკარობა, იგპ)*		5		
3.	სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო გამოცდილება		5		
4.	მოხუცები		5		
5.	ფსიქიკური ჯანმრთელობა		5		
6.	თანამედროვე სოციალური პრობლემები II *(სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეობა, შიდსი, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები)*		5		
	IV მოდული: კვლევა სოციალურ სამუშაოში:	**სავალდებულო**	**10 კრედიტი**		
1.	სოციალური სამუშაოს კვლევის მეთოდები		5		
2.	კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა		5		
	V მოდული: სოციალური სამუშაოს მაკროპრაქტიკა:	**სავალდებულო**	**15 კრედიტი**		
1.	სოციალური სამუშაოს სამართლებრივი ასპექტები		5		
2.	პროფესიათაშორისი პრაქტიკა		5		
3.	სოციალური პოლიტიკა		5		
	VI მოდული: პრაქტიკუმი სოციალურ სამუშაოში	**სავალდებულო**	**35 კრედიტი**		
	სოციალური სამუშაოს პრაქტიკუმის კომპონენტი წარმოადგენს ბაკალავრიატის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. პრაქტიკუმის კომპონენტში ჩართული იქნება განსხვავებული ტიპისა და ფოკუსის მქონე ორგანიზაციები, კერძოდ: • ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა სექტორში (სახელმწიფო დაწესებულებები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები); • ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან (ბავშვები, მოზარდები და ოჯახები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დამნაშავეები და სხვა);				

	• ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ განსხვავებული ტიპის კლიენტთან (ინდივიდები, ჯგუფები, ოჯახები, თემი); • ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებს (რეზიდენტული დაწესებულებები, დღის ზრუნვის ცენტრები, საავადმყოფოები და სხვა).				

შენიშვნები: სოციალური სამუშაოს პრაქტიკუმს სტუდენტები გაივლიან სწავლების მეორე, მესამე და მეოთხე წლების განმავლობაში. პრაქტიკუმის ფარგლებში სტუდენტებმა უნდა იმუშაონ სულ 875 საათი, ანუ თითო წლის განმავლობაში 291 საათი, რაც კვირაში 10 საათს შეადგენს (კვირაში ორი დღე).

ორგანიზაციაში პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტის სამუშაო საათების თემატური განაწილება ასეთია:

- კლიენტთან უშუალო მუშაობა – 2..5 საათი
- შემთხვევის მართვა – 1. 5 საათი
- პრაქტიკის მასწავლებელთან (ზედამხედველთან) მუშაობა – 1 საათი
- ორგანიზაციის მიმდნარე შეხვედრებში მონაწილეობა – 1 საათი
- პროფესიული განვითარება და წვრთნა – 2 საათი
- თვითშეფასება – 1.5 საათი
- ორგანიზაციის შეფასება – 0.5 საათი

სტუდენტი პრაქტიკის მასწავლებელთან (ზედამხედველთან) ერთად ადგენს სამუშაო განვითარების გეგმას (practice development plan), რომელიც დეტალურად აღწერს სტუდენტის საქმიანობას ორგანიზაციაში. გეგმა მტკიცდება ბაკალავრიატის პროგრამის პრაქტიკუმის კოორდინატორის მიერ.

* * *

ძირითადი სპეციალობის კურიკულუმი, ზემოაღნიშნულის გარდა, მოიცავს ***საბაკალავრო ნაშრომის*** მომზადებას (ECTS 10 კრედიტი)

კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით:

საშემოდგომო	• ინგლისური ენა (5 კრედიტი) • შესავალი კურსები (10 კრედიტი) • სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ცოდნა, ღირებულებები, უნარები (5 კრედიტი) • ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა (5 კრედიტი) • ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში (5 კრედიტი) • კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური სამუშაო (5	• სავალდებულო • სავალდებულო – არჩევითი • სავალდებულო • სავალდებულო • სავალდებულო

	კრედიტი) • ბავშვები, მოზარდები და ოჯახები (5 კრედიტი) • თანამედროვე სოციალური პრობლემები I *(სიღარიბე, უსახლკარობა, იგპ)* (5 კრედიტი) • სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო გამოცდილება (5 კრედიტი) • სოციალური სამუშაოს კვლევის მეთოდები • კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა • პრაქტიკუმი სოციალურ სამუშაოში (17 კრედიტი)	• სავალდებულო • სავალდებულო-არჩევითი • სავალდებულო-არჩევითი • სავალდებულო არჩევითი • სავალდებულო • სავალდებულო • სავალდებულო
საგაზაფხულო	• ინგლისური ენა (5 კრედიტი) • აკადემიური წერა (5 კრედიტი) • შესავალი კურსები (10 კრედიტი) • ჯგუფებთან მუშაობა (5 კრედიტი) • ორგანიზაციებთან და თემთან მუშაობა (5 კრედიტი) • ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში (5 კრედიტი) • მოხუცები (5 კრედიტი) • ფსიქიკური ჯანმრთელობა (5 კრედიტი) • თანამედროვე სოციალური პრობლემები II *(სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეობა, შიდსი, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები)* (5 კრედიტი) • სოციალური სამუშაოს სამართლებრივი ასპექტები (5 კრედიტი) • პროფესიათაშორისი პრაქტიკა (5 კრედიტი) • სოციალური პოლიტიკა (5 კრედიტი) • პრაქტიკუმი სოციალურ სამუშაოში (18კრედიტი)	• სავალდბულო • სავალდებულო • სავალებულო – არჩევითი • სავალდებულო • სავალდებულო • სავალდებულო • სავალდებულო-არჩევითი • სავალდებულო-არჩევითი • სავალდებულო-არჩევითი • სავალდებულო • სავალდებულო • სავალდებულო • სავალდებულო

პედაგოგები (სულ 10 პედაგოგი; მათგან ძირითად შტატზე _ 5, ხოლო მოწვეული _ 5).

	კურსი	**პედაგოგი**	**ხარისხი/კვალიფიკაცია**	**სტატუსი**
1.	შესავალი სოციალურ სამუშაოში	• ნათია ფარცხალაძე • ნათია ბერძენიშვილი	• Msw • სოციოლოგიის მაგისტრი	• მოწვეული • მოწვეული
2.	სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ცოდნა, ღირებულებები, უნარები	• შორენა სამაგლიშვილი	• Msw; თსუ ასისტენტ-პროფესორი	• ძირითადი
3.	ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა	• შორენა სამაგლიშვილი	• Msw; თსუ ასისტენტ-პროფესორი	• ძირითადი
4.	ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში	• თამარ მახარაძე • მაია მგელიაშვილი	• თსუ ასისტენტ-პროფესორი • Msw	• ძირითადი

5.	ჯგუფებთან მუშაობა	• ნათია ბერძენიშვილი	• სოციოლოგიის მაგისტრი	• მოწვეული
6.	ორგანიზაციებთან და თემთან მუშაობა	• სალომე ნამიჭეიშვილი	• Msw	• მოწვეული
7.	კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური სამუშაო	• მაია მგელიაშვილი	• Msw	• მოწვეული
8.	ბავშვები, მოზარდები და ოჯახები	• სალომე ნამიჭეიშვილი	• Msw	• მოწვეული
9.	თანამედროვე სოციალური პრობლემები I *(სიღარიბე, უსახლკარობა, იგპ)*	• შორენა თურქიაშვილი	• თსუ ასისტენტ-პროფესორი	• ძირითადი
10.	თანამედროვე სოციალური პრობლემები II *(სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეობა, შიდსი, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები)*	• მარინა უშვერიძე	• Msw	• მოწვეული
11.	სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო გამოცდილება	• ნინო შატბერაშვილი	• Msw	• მოწვეული
12.	მოხუცები	• ნათია ფარცხალაძე	• Msw	• მოწვეული
13.	ფსიქიკური ჯანმრთელობა	• თამარ მახარაძე	• თსუ ასისტენტ-პროფესორი	• ძირითადი
14.	სოციალური სამუშაოს კვლევის მეთოდები	• იაგო კაჭკაჭიშვილი	• თსუ პროფესორი	• ძირითადი
15.	კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა	• იაგო კაჭკაჭიშვილი	• თსუ პროფესორი	• ძირითადი
16.	სოციალური სამუშაოს სამართლებრივი ასპექტები	• მაია მგელიაშვილი	• Msw	• მოწვეული
17.	პროფესიათაშორისი პრაქტიკა	• ნათია ფარცხალაძე	• Msw	• მოწვეული
18.	სოციალური პოლიტიკა	• ნინო შატბერაშვილი	• Msw	• მოწვეული
19.	პრაქტიკუმი სოციალურ სამუშაოში	• შორენა საძაგლიშვილი • სალომე ნამიჭეიშვილი • ზურა ტატიშვილი	• Msw; თსუ ასისტენტ-პროფესორი • Msw • სოციოლოგიის მაგისტრი	• ძირითადი • მოწვეული • მოწვეულ

სოციალური მუშაკის განათლების დაფუძნება საქართველოში